# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც. — ხუთშაბათი, 18 მაისი 1900 წ. № 1128

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და იგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".**

**ტელეფონი № 372.**



# სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის, წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულია 28 და 29 მაისს მუშტაიდის ბაღში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლებაკნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—39)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს

## სამს პრემიას—150 მ., 100 მ., 75 მ.,

დასაჯილდოვებლად ქართული ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებისა. პრემიის პირობებია შემდეგი:

1) საპრემიოთ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზე დაუდგმელი, დაუბეჭდავი და შეიცავდეს არა-ნაკლებ 4 მოქმედებისა.

**შენიშვნა: პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიან პიესასაც მისი განსაკუთრებით სალიტერატურო და სასცენო ღირსებისა გამო.**

2) დრამატ. საზოგ. გამგეობის სახელზე უნდა გამოგზავნოს პიესა რაიმე დევიზის წარწერით და დახურულ კონვერტი, რომელშიც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქნება ჯილდოს ღირსად.

3) ვადა პიესის გამოგზავნისა დანიშნულია არა უგვიანეს პირველი სექტემბრის, 1900 წ.

4) პრემია მიეცემა მთლად ერთიანად ან და მხოლოდ ერთი ნაწილი.

5) «საზოგადოების» გამგეობას აქვს უპირატესი უფლება,—დაჯილდოვებული პიესა დადგას თავის თეატრში ორი წლის განმავლობაში დღიდან პრემიის მიცემისა; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე სხვას ვისმეს მისცეს წარმოდგენის უფლება, ხოლო ტფილისში პირველ ორ წელიწადს პიესას ვერავინ ვერ წარმოადგენს გამგეობის ნება-დაურთველად.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს ჰონორარად მიეცემა თითო დადგმაზე მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.

**შენიშვნა: სამ-მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.**

7) შემდეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში. ნ. (10—6)

# პარიზის გამოფენაზე
## წამსვლელთა საყურადღებოდ

**პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—ადრესისა და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება „მოამბე"-„ცნობის ფურცლის" რედაქციაში.** (რ 0—15)


## მთავრობის განკარგულებანი

მე 13 ლეიბ-გრენადერის ერევანს პოლკის პოდპორუჩიკი ჩიკოიძე დაინიშნა ახალციხის მაზრის სოლთანაბადის ნაწილის ბოქაულად.

# ახალი ამბავი

✦ მისი უდიდებულესობა **სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედდინი** დღეს დილით, 6 საათზე, მიდის ტფილისიდან რკინის გზით მცხეთამდე და იქიდან საქართველოს სამხედრო გზით ვლადიკავკავს. კავკავიდან შაჰი ვარშავას მიდის საზღვარ გარედ წასასვლელად. იქ წყლებზე ერთ თვეს დაჰყოფს და შემდეგ ოფიციალურად დაიწყებს სატახტო ქალაქებში მოგზაურობას. პირველად პეტერბურგს მივა.

✦ გუშინ დილას, 17 მაისს, მის უდიდებულესობამ **სპარსეთის შაჰმა** დაათვალიერა ტფილისის ბოტანიკური ბაღი და თათრების ნაწილი. საღამოს წავიდა ნავთლუღს, სადაც ინახულა ნიჟეგოროდის პოლკის ვარჯიშობა.

✦ სპარსეთის შაჰს უბოძებია თავისი პორტრეტი ბრილიანტებით შემკული, ყელზე სატარებლად, გენერალ-ადიუტანტ **არსენიევისათვის.**

✦ გორის მაზრის უფროსმა ბ. პავლოვმა და ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწემ ბ. მაჰავარიანმა დაათვალიერეს ის სოფლები, რომელნიც შორაპნის მაზრის საზღვარზე არიან და ვერავითარი **გადამდები სენი** ვერ აღმოაჩინეს. იგივე სოფლები დაათვალიერა საგუბერნიო ექიმმა ბ-ნმა ქიქოძემ.

✦ ამ დღეებში მოხდა **სხდომა ქალაქის სასანიტარო კომისიის წევრთა.** კომისიამ აღნიშნა მრავალი ზომა, რომელიც მიღებული უნდა იქმნას ქალაქის გასუფთავებისა და სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. სხვათა შორის განზრახულია დაარსებულ იქმნას ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილას საზოგადო სამრეცხველოები.

✦ როგორც გადმოგვცეს, **კნ. ნ. მ. ქობულაშვილისას** შეუწირავს 500 მანათი სახალხო თეატრის ასაშენებელ ფონდის გაძლიერებისათვის.

✦ სათანადო მთვრობა იხილავს ამ ჟამად პროექტს **რუსეთის საქველ-მოქმედო ბანკის დაარსების** შესახებ. პროექტით განზრახულია შემოიღონ მთელს რუსეთში ახალი „საქველ-მოქმედო გადასახადი"—1 კაპეიკი სულზე. როდესაც საკმაო თანხა შესდგება, პროცენტებიდან მისცემენ ყველა გაჭირვებულთ—ან შემწეობას, ან სესხს გაადვილებულის პირობებით.

✦ კვირას, 21 მაისს, სოფელ კუხს (ქუთ. მაზრა) დანიშნულია მორიგი წლიური კრება **ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა.**

✦ ორშაბათს არ მოხდა **ტფილისის საბჭოს სხდომა;** მის მაგიერ სხდომა იქმნება ხვალ, 19 მაისს.

✦ ხვალ, 19 მაისს, დანიშნულია კრება **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა.** მორიგ საქმეთა გარდა კრებას სჯა-ბაასი ექმნება იმ საშუალებათა შესახებ, რომელთა შემწეობით შეიძლება შესუსტება იმ გავლენისა, რომელიც მოუსავლობას აქვს მეურნეობაზე.

✦ ჩვენი მრავალ-ნაშრომი მსახიობი ქალი კნეინა ბარბარე **ავალიშვილისა,** რომელიც კარგა ხანია სულით ავადმყოფთა სამკურნალოში იმყოფება, უკანასკნელს დღეებშია თურმე.

✦ ამიერ კავკასიის საპოლიციო საერობო სადარაჯოს რაზმებისათვის სადგომების დასაქირავებლად, მათ გასათბობად და გასანათებლად მთავარ-მართებლის ბრძანებით გადაიდება საერობო თანხიდან წელს 39.803 მან. 55 კ., მათ შორის ქუთაისის გუბერნიაში—20.212 მ. 11 კ., ერევნისაში—11.541 მ. 47 კ., ბაქოსაში—

4570 მ., განჯისაში—2608 მ. 23 კ. და ტფილისისაში—871 მან. 74 კაპ.

✦ სამოქალაქო კანონდებულებების განხილვის დროს პეტერბურგში კომისიას აღუძრავს კითხვა—სასურველია თუ არა დარჩეს კანონდებულებაში ის მუხლი, რომელიც ნებას აძლევს ამიერ კავკასიაში **15 წლის ვაჟისა და 13 წლის ქალის დაქორწილებას?** კომისიის თავჯდომარეს ამის გამო მოუწერია კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციისათვის—შეკრიბეთ ადგილობრივ ცნობებიო, თუ როგორ უყურებენ ამ მუხლს ქრისტიანთა და მაჰმადიანთა სასულიერო პირნი და დაწესებულებანიო: საჭიროდ სთვლიან ისინი, რომ დარჩეს ეს მუხლი შეუცვლელად, თუ მოემატოს წლოვანებასო. ადგილობრივ ადმინისტრაციას უკვე შეუდგენია ცნობები. აღმოჩნდა, რომ მაჰმადიანთა სასულიერო პირნი ორად გაყოფილან: ერთნი იმ აზრისანი არიან, რომ უნდა მოემატოს წლოვანებას, მეორენი კი ამბობენ: აწ არსებული კანონი უნდა დარჩესო. ამგვარ უთანხმოების გამოსარკვევად და საქმის საბოლოოდ გარდასაწყვეტად კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს ა. ა. ფრეზეს გარდაუწყვეტია მოახდინოს შეერთებული კრება მაჰმადიანთა სასულიერო დაწესებულებათა და პირთა მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის პრიბილის თავმჯდომარეობით.

✦ **უსინათლოთა სასწავლებელი**, რომელიც დღემდე ნაქირავებ სახლში იყო მოთავსებული ნიკოლოზის ქუჩაზე, 16 მაისს საკუთარ შენობაში გადაიდა ავლაბარში.

✦ პეტერბურგიდან „კავკაზს“ ატყობინებენ: სენატმა დაარღვია განაჩენი ტფილისის სამოსამართლო პალატისა **შოლოხნსკის და გვარამაძის** შესახებ, რომელთაც მევახშეობა დაბრალდათ. საქმე ხელმეორედ უნდა გაირჩეს.

✦ სამიწად მოქმედო სიმინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს ამიერ კავკასიაში **ორი საგანგებო სკოლა**, რომლებშიაც ასწავლიან საუკეთესო ხარისხის ყველის, ერბოს, კარაქისა და სხვათა გაკეთებას.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობა აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს მაშინისტად ჩაერიცხოს, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები: 1) იყოს არა ნაკლებ 21 წლის და არა უხნიერეს 50-სა; 2) იყოს ჯანსაღი; 3) ჰქონდეს კარგი მხედველობა და არა სჭირდეს არავითარი თვალის ავადმყოფობა; 4) ჰქონდეს კარგი ყურთასმენა; 5) არ იყოს ლოთი; 6) იცოდეს რუსული წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოქმედება; 7) იცოდეს ზეინკლობა, რამდენადაც ეს საჭიროა ორთქლის მატარებელთა რემონტისათვის და 8) ჰქონდეს მოწმობა იმისა, რომ ნება აქვს მიღებული გამოცდის შემდეგ ორთქლით მატარებლის მართვისა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**16 მაისი**

**კიევი.** საერო განათლების მინისტრმა დაათვალიერა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, ფილოლოგიური და ბაქტეოროლოგიური ინსტიტუტები.

**ბუდა-პეშტი.** უნგრეთის დელეგაციამ მიიღო სამხედრო და საერთო საიმპერიო ბიუჯეტი ფინანსთა და ზღვათა სამინისტროებისა. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ბიუჯეტის განხილვის დროს ფინანსთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ მაჰმადიანთა ეკკლესიამ თვითმმართველობა ითხოვა, მაგრამ უარი ეთქვაო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მართლ-მადიდებელთა და კათოლიკეთა ეკკლესიებიც მოითხოვდნენ თვითმმართველობას და საშიში განცალკევება შეიქმნებოდაო.

**ლონდონი.** რობერტსი კლიპრივერიდან დეპეშით იტყობინება: „იოჰანესბურგიდან 18 მილის მანძილზე ვართ. ბურებმა რამდენიმე ადგილი გაამაგრეს, მაგრამ, როგორც კი მიუახლოვდით, უკან დაიწიეს. ჩვენ იმდენად შევავიწროეთ, რომ ძლივს მოასწრეს თავის 5 ზარბაზნის წაღება. ფრენჩისა და გამილტონის ჯარებს, ალბათ, ბრძოლა მოუხდათ ბურებთან; ჩვენი ბანაკიდან 10 მილის სიშორეზე ზარბაზნების ხმა ისმის.

**ხაბაროვსკი.** 11 მაისს მურავიოვ-ამურსკისა და იმანის სადგურებ შუა ლიანდაგს გადასცდა მატარებელი, რომელშიაც ჯარისკაცნი ისხდნენ. დაიმსხვრა 9 ვაგონი; დაიჭრა 8 ჯარის-კაცი; მოკლულია სამი ცხენი და დაჭრილი 15.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ ამას წინად მომხდარი რუსეთსა და კორეიას შუა შეთანხმება ეხება მხოლოდ რკინის გზის გაყვანის კონცესიას და ისეთივეა, როგორიც წინად მოხდა კორეიასა და იაპონიის შუა.

**ხარკოვი.** გაიხსნა პირველი კრება საქალაქო ბანკების წარმომადგენელთა; ფინანსთა სამინისტროდან მონაწილეობას იღებს საკრედიტო კანცელარიის დირექტორის ამხანაგი პეტროვი.

**ლორენცო-მარკეზი.** პრეტორიაში მივიდა ბოტა, რათა მოელაპარაკოს კრიუგერს მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოგდების შესახებ. ბოტამ აძ რამდენიმე დღის წინად ურჩია კრიუგერს—დავნებდეთ ინგლისელთაო, შტეინიც მომხრეა მშვიდობიანობისა და მხოლოდ კრიუგერია იმ აზრის, რომ ომი უნდა გაგრძელდეს. პრეტორიაში ჰფიქრობენ, რომ მშვიდობიანობის მომხრენი გაიმარჯვებენო.

**პეკინი.** უცხოელთა ელჩებს თათბირი ჰქონდათ მეტად მძიმე და საშიშ მდგომარეობის შესახებ.

**კაპშტადტი.** ფრენჩმა გზა მოუჭრა ბურებს ჰეიდელბერგისა და ბოკსბურგის შუა იოჰანესბურგიდან რამდენიმე მილის მანძილზე.

**პრეტორია.** ინგლისელებმა დაიპყრეს ზეირუსტი; მძლავრი რაზმი ლიხტენბურგისაკენ მიდის.

**ტიანცზინი.** ორასმა ჩინელმა ჯარის კაცმა შეაკეთეს რკინის გზა ტიანცზინისა და პეკინის შუა, და მატარებლების მიმ ისვლა დაიწყო. სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. ტიანცზინში მოვიდა იაპონიის 30 ჯარის კაცი. საფრანგეთის გემები წავიდნენ ტაკუდან.

**კონსტანტინოპოლი.** სმირნაში კიდევ გახდა ავად შავი ჭირით ერთი კაცი. დაწესდა ხუთი დღის კარანტინი.

**პარიზი.** გალიფე ავად არის და არ დასწრებია მინისტრთა სხდომას.

**ბელგრადი.** საკასაციო სასამართლომ დაადგინა ხელ ახლავ იქმნას გარჩეული მინისტრად ნამყოფის ტაუშანოვიჩის საქმე.

**კაპშტადტი.** დღეს ფორმალურად გამოცხადდა ორანჟეს რესპუბლიკის შეერთება ინგლისთან.

**პრეტორია.** გამოცხადდა, რომ ინგლისის ჯარები შაბათს გადვიდნენ მდ. ვაალის მეორე ნაპირს. ლიმმერს სასტიკი ბრძოლა მოუხდა კლიპრივერთან; 5 ბური მძიმედ დაიჭრა, ორიც ტყვედ წაიყვანეს.

**პეტერბურგის ბირჟა 16 მაისს.**

| | მყიდვე-ლობა. | გამყიდ-ველობა | გაყიდუ-ლობა. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | $98^{1}/_{2}$ | — | — |
| $4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $100^{3}/_{4}$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $98^{7}/_{8}$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | $307^{1}/_{2}$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | $265^{1}/_{2}$ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | $207^{1}/_{2}$ |
| $3^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | $91^{1}/_{8}$ | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | 90 | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 102 | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 99 | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| $4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**


# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » » | — $8^{1}/_{2}$ | |
| » კამეჩისა. . | » » | — 8 | კ. |
| » ღორისა. . | » » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I | ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » » | $3^{1}/_{2}$ | » |
| » » | III | » | » » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » » | 5 | » |
| » » | II | » | » » | 4 | » |
| » » | III | » | » » | $3^{1}/_{2}$ | » |
| ლავაში ფკვ. მმ. | I | » | » » | 6 | » |
| » » | II | » | » » | 4 | » |

# განცხადებანი

# ვ ე ქ ი ლ ი

**ა. მ. ახნაზაროვი**

გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ, 6—8 საათამდის. (10—7)


გამომც. გ. გუნია